RAGE

GAMING LAPTOP

ARDOR GAMING

სარჩევი

მოწყობილობის დანიშნულება 4
უსაფრთხოების ზომები 4
რეკომენდაციები აკუმულატორის ბატარეასთან მუშაობისას (Li-pol/Li-ion) 5
გაფრთხილება მოწყობილობის დაბალ ტემპერატურაზე ექსპლუატაციის შესახებ 6
მოწყობილობის ექსპლუატაცია 7
მოწყობილობის სქემა (R15-R7ND502) 8
მოწყობილობის სქემა (R17-R7ND503) 9
ტექნიკური მახასიათებლები 11
შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა 12
მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები 12
დამატებითი ინფორმაცია 12

ნოუთბუქი ARDOR GAMING RAGE
მომხმარებლის სახელმძღვანელო

ძვირფასო მომხმარებელო!

გმადლობთ ნდობისთვის!

ჩვენი გუნდი სრულად იზიარებს კომპიუტერული თამაშებისადმი თქვენს გატაცებას, სწორედ ამიტომ ვცდილობთ, რომ თქვენი სათამაშო გამოცდილება ჩვენი გეიმინგ აქსესუარებით დაუვიწყარი გახდეს. გისურვებთ ახალ გამარჯვებებს და ყველაზე ნათელ შთაბეჭდილებებს!

მოწყობილობის დანიშნულება

ნოუთბუქი — პორტატული პერსონალური კომპიუტერია, რომელსაც ჩაშენებული შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობებისა (თაჩპედი, კლავიატურა, დისპლეი) და ინტეგრირებული აკუმულატორული ბატარეის ხარჯზე ავტონომიურობის მაღალი ხარისხი აქვს. ნოუთბუქს შეუძლია ყველა იმ ამოცანის შესრულება, რასაც სტაციონარული პერსონალური კომპიუტერები ასრულებენ, მათ შორის: მონაცემთა დამუშავება და შენახვა, უსადენო საინფორმაციო ქსელებთან დაკავშირება, მულტიმედიური (აუდიო და ვიდეო) ფაილების დაკვრა, ასევე სხვადასხვა აპლიკაციისა და თამაშის გაშვება.

უსაფრთხოების ზომები

- არ დაუქვემდებაროთ მოწყობილობა ზედმეტად მაღალი/დაბალი ტემპერატურის, მტვრის, ტენიანობის, მზის პირდაპირი სხივების, ძლიერი ვიბრაციის, ასევე ძლიერი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებას.
- არ დაუშვათ მოწყობილობაში სითხის მოხვედრა. ნუ გამოიყენებთ მას ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს მოწყობილობის წყალში მოხვედრის რისკი (მაგალითად: აუზი, წყალსატევი, აბაზანა და მისთ.).
- არ დაუშვათ ნოუთბუქში მტვრისა და ჭუჭყის მოხვედრა.
- მწარმოებელი არ იძლევა გარანტიას მოწყობილობის სრულ თავსებადობაზე მესამე მხარის დეველოპერების ნებისმიერ აპლიკაციასთან და ამ აპლიკაციების სწორ მუშაობაზე.
- არ დაუშვათ მოწყობილობის სიმაღლიდან ვარდნა და მყარ ზედაპირზე დარტყმა.
- მონაცემთა დაკარგვის თავიდან ასაცილებლად გირჩევთ, შექმნათ თქვენი ფაილების სარეზერვო ასლები. მონაცემთა დაკარგვაზე პასუხისმგებლობას არ ვიღებთ.
- გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის მიერ დაშვებული დამტენი მოწყობილობები და აქსესუარები. სხვა აქსესუარების გამოყენება არღვევს გარანტიის პირობებს და შეიძლება საშიში იყოს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე კონტროლს ახორციელებენ მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ გახსნათ მოწყობილობის კორპუსი. მოწყობილობა არ შეიცავს დეტალებს, რომელთა შეკეთებაც შესაძლებელია საყოფაცხოვრებო პირობებში. მიმართეთ კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურებას.
- ბატარეის ამოღებისას საჭიროა მისი დამუხტვა არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში ნოუთბუქის განმეორებით გაშვებამდე.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- გამორთეთ ნოუთბუქი და გამოაერთეთ იგი კვების წყაროდან მისი გაწმენდის, პერიფერიული მოწყობილობების მიერთების ან გამოერთების წინ.
- დააყენეთ ნოუთბუქი სწორ და მდგრად ზედაპირზე.
- ნუ დადებთ ჩართულ ნოუთბუქს უშუალოდ სხეულის შიშველ ნაწილებზე (ფეხები, მუცელი და სხვ.).
- ნუ ატარებთ ნოუთბუქს მუდმივად მჭიდროდ შეკრულ ჩანთაში (სპეციალურად განკუთვნილის გარდა). გარდა ამისა, ნუ გადაიტანთ ნოუთბუქს ჩართულ მდგომარეობაში.
- არასოდეს აიღოთ და ნუ დაიჭერთ ნოუთბუქს დისპლეით.
- ნუ გადააბრუნებთ ნოუთბუქს, როცა ის დამტენთან არის შეერთებული (ამან შეიძლება კაბელი დააზიანოს).
- ნოუთბუქის კორპუსის ჭრილები და ხვრელები განკუთვნილია ვენტილაციისთვის. ნოუთბუქის საიმედო მუშაობისა და გადახურებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად ნუ დაფარავთ და ნუ დახურავთ მათ.
- არ დაუშვათ კორპუსის ხვრელებიდან ნოუთბუქში რაიმე საგნის მოხვედრა.
- ნუ იმუშავებთ ნოუთბუქით ხანგრძლივად საწოლზე ან ხაოიან ზედაპირზე, რადგან მის ქვეშ სითბო გროვდება.
- არ დაუშვათ ნოუთბუქის კონექტორებში უცხო საგნების (მაგალითად, სამაგრების) მოხვედრა.
- ნუ დადებთ კვების ადაპტერს გათბობის მიმართ მგრძნობიარე ზედაპირებზე.
- დინამიკების მწყობრიდან გამოსვლის თავიდან ასაცილებლად ნუ დააყენებთ ხმის ისეთ დონეს, რომელიც ხმის აშკარა დამახინჯებას იწვევს.

- არასოდეს გამორთოთ და არ გადატვირთოთ ნოუთბუქი მყარ დისკთან მიმართვისას, რასაც თან ახლავს შესაბამისი ინდიკატორების ანთება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის დაკარგვა ან თავად მეხსიერების მოწყობილობების დაზიანება.
- ნუ ჩართავთ ნოუთბუქს გამორთვიდან 5 წამის განმავლობაში. აჩქარებულმა ჩართვამ შეიძლება მისი დაზიანება გამოიწვიოს.

რეკომენდაციები აკუმულატორის ბატარეასთან მუშაობისას (Li-pol/Li-ion)

ძვირფასო მომხმარებელო, გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება იმაზე, რომ ეს მოწყობილობა კვების წყაროდ იყენებს ლითიუმზე დაფუძნებულ აკუმულატორს. ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას — ის დაგეხმარებათ გააგრძელოთ თქვენი აკუმულატორის მომსახურების ვადა და თავიდან აიცილოთ არასასურველი შედეგები მისი ექსპლუატაციისას.

აკუმულატორის ტევადობა და დამუხტვა-განმუხტვის ციკლების რაოდენობა

მოწყობილობის ხანგრძლივი შენახვისა და გამოყენებისას აკუმულატორულ ბატარეას (შემდგომში ტექსტში — „ბატარეა“) აქვს მუხტისა და ტევადობის დაკარგვის თვისება. დამუხტვა-განმუხტვის 300 ციკლის შემდეგ (მოწყობილობის გამოყენების დაახლოებით ერთი წელი) ბატარეის ტევადობა შეიძლება შემცირდეს ნომინალურის 80%-მდე. ბატარეის ტევადობა დამუხტვა-განმუხტვის 400 ციკლის შემდეგ შეიძლება შემცირდეს ნომინალური ტევადობის 60%-მდე. ტევადობის ნაწილობრივი შემცირება აღნიშნულ ფარგლებსა და დროით პერიოდებში ბატარეის ბუნებრივი ცვეთაა, რომელიც დეფექტად არ ითვლება.

აკუმულატორის ბუნებრივი ცვეთა

აკუმულატორი კარგავს მუხტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ინახება მოწყობილობისგან ცალკე. თვითგანმუხტვა შეადგენს თვეში დაახლოებით 5%-ს. აკუმულატორები თავისი აგებულებით არ არის ხანგრძლივვადიანი და მუდმივად განიცდის დეგრადაციას, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ისინი. აღნიშნული დეგრადაცია მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა და რაც უფრო შორს არის მუხტის დონე „ოპტიმალური“ მაჩვენებლისგან (შენახვის თვალსაზრისით), რომელიც მიღებულია, რომ შეადგენს 40%-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ აკუმულატორი არ გამოიყენება, აზრი აქვს მუხტის შენარჩუნებას 40–50%-ის დონეზე.

აკუმულატორის ტევადობა და დამუხტვა-განმუხტვის ციკლების რაოდენობა



გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი დამტენი მოწყობილობა

ბატარეის დამუხტვა/განმუხტვის უნარს მასში ჩაშენებული კონტროლერი მართავს. უკიდურესად უკუნაჩვენებია „სწრაფი დამუხტვის“ იძულებითი რეჟიმები Li-ion ბატარეებისთვის განკუთვნილ გარე დამტენ მოწყობილობებში, რადგან დამუხტვისა და განმუხტვის დენები შეზღუდულია.

Li-ion ბატარეებს არ აქვთ ე.წ. „მეხსიერების ეფექტი“. აკუმულატორების განმუხტვა/დამუხტვის დაწყება შესაძლებელია მუხტის ნებისმიერი დონიდან.

მოწყობილობების უმეტესობაში დამუხტვის/განმუხტვის ხარისხზე შეზღუდვაა დაწესებული — კონტროლერმა შეიძლება არ დაუშვას ბატარეის დამუხტვა, თუ, მაგალითად, მუხტი უკვე 90%-ზე მეტია. ასევე ის არ დაუშვებს ბატარეის სრულ განმუხტვას და ამით ხელს შეუშლის ელემენტების მწყობრიდან გამოსვლას. მაშინაც კი, თუ მოწყობილობის მუშაობა ელექტრული ქსელის მეშვეობით ხორციელდება, Li-ion ბატარეამ თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიაროს დამუხტვა/განმუხტვის სრული ციკლი („ბატარეის განმუხტვის შესახებ“ შეტყობინების გამოჩენამდე). დაუშვებელია ბატარეის სრულ განმუხტვამდე მიყვანა. Li-ion აკუმულატორი სწრაფად დეგრადირდება განმუხტულ მდგომარეობაში ხანგრძლივი შენახვისას. თუ ეს მაინც მოხდა, დაუყოვნებლივ დატენეთ იგი. თუ ბატარეა განმუხტულ მდგომარეობაში 2 კვირის ან მეტი ხნის განმავლობაში რჩება, ბატარეის ელემენტებში ტევადობის შეუქცევადი დაკარგვის პროცესი მიმდინარეობს, რასაც შედეგად მოჰყვება თავად ბატარეის მწყობრიდან გამოსვლა.

დაიცავით ტემპერატურული რეჟიმი

ბატარეები უნდა ინახებოდეს დამუხტულ მდგომარეობაში +15 °C-დან +35 °C-მდე ტემპერატურაზე, ჰაერის ნორმალური ტენიანობისას. ბატარეები ცუდად იტანენ ხანგრძლივ ექსპლუატაციას გარემოს ძალიან მაღალ (+40 °C-ზე მაღლა) და ძალიან დაბალ (-10 °C-ზე დაბლა) ტემპერატურაზე. ბატარეის პირდაპირ მზის სხივებზე დატოვება აკრძალულია.

ნუ დაშლით, ნუ დაწვავთ, ნუ გამოიყენებთ დაზიანების კვალის მქონე ბატარეებს

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბატარეების დამოუკიდებლად დაშლა და მათი ელემენტების დამუხტვა. შეკეთების ან მომსახურების მიზნით მიმართეთ სპეციალიზებულ სერვისცენტრებს.

ელემენტების გაჩხვლეტამ ან გაჭყლეტამ შეიძლება გამოიწვიოს შიდა მოკლე ჩართვა, რასაც მოჰყვება აალება და აფეთქება. მაღალი ტემპერატურის შედეგად ლითიუმის დადნობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს აფეთქება. ჰერმეტულობის დარღვევისას ელემენტის შიგნით შეიძლება მოხვდეს წყალი ან დაკონდენსირდეს ატმოსფერული ტენი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყალბადის გამოყოფით მიმდინარე რეაქცია და აალება. ბატარეის მიმდინარე მდგომარეობა შეგიძლიათ ნახოთ, მაგალითად, ბატარეის მდგომარეობის ინდიკატორზე, რომელიც პრაქტიკულად ყველა მოწყობილობას აქვს (მისი მდებარეობა და მუშაობის პრინციპი დააზუსტეთ შეძენისას).

ყურადღება!

- ფრთხილად იყავით, დაზიანებულმა ბატარეებმა შესაძლოა მავნე ნივთიერებები გამოყოს.
- თუ ბატარეა მოსახსნელია, მისი მუშაობისუნარიანობის პრობლემის აღმოჩენისას უნდა მიმართოთ სერვის ცენტრს (საგარანტიო ვადა იხილეთ საგარანტიო ტალონში). თუ ბატარეა არ არის მოხსნადი (აკუმულატორი მოწყობილობის განუყოფელი ნაწილია), გარანტია ვრცელდება ისევე, როგორც თავად მოწყობილობაზე. ასევე აუცილებელია სერვის ცენტრში მიმართვა. რაც უფრო ადრე ჩააბარებთ მწყობრიდან გამოსულ ბატარეას შესაკეთებლად, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ მისი აღდგენა მინიმალური დანახარჯებით მოხერხდეს.
- აკუმულატორის მუშაობის დრო დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, ამიტომ მუშაობის ფაქტობრივი დრო შესაძლოა არ დაემთხვას მითითებულს.
- აკუმულატორს აქვს დამუხტვის შეზღუდული რაოდენობის ციკლები და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შესაძლოა შეცვლა დასჭირდეს (აკუმულატორის შეზღუდული გარანტიის პირობები იხილეთ საგარანტიო ტალონში). აკუმულატორის მუშაობის დრო დამოკიდებულია გამოყენების რეჟიმსა და პარამეტრებზე.

გაფრთხილება მოწყობილობის დაბალ ტემპერატურაზე ექსპლუატაციის შესახებ

- მოწყობილობის გამოყენების ოპტიმალური ტემპერატურული დიაპაზონია +5 °C-დან +35 °C-მდე.
- არ არის რეკომენდებული მოწყობილობის გამოყენება 0 °C-ზე დაბალ და +35 °C-ზე მაღალ ტემპერატურაზე, რადგან:
  - ირღვევა ეკრანების ფერთა სწორი გადაცემა, მცირდება სისწრაფე, მკვეთრად იზრდება მათი კონტრასტულობა — ეკრანი შესაძლოა „გაშავდეს“;
  - გარკვეულ ტემპერატურაზე გამოსახულება „იყინება“ — ხდება უძრავი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მოწყობილობა ფუნქციონირებს;
  - გათბობისას ეკრანების უმრავლესობას ყოფილი ფუნქციები უბრუნდება, თუმცა ძლიერი გაცივებისას ეკრანები შესაძლოა მწყობრიდან გამოვიდეს;
  - ბატარეები არ არის გათვლილი დაბალ ტემპერატურაზე გამოსაყენებლად;
  - ზედმეტად გაცივებული ბატარეის მქონე აპარატი შესაძლოა თვითნებურად გამოირთოს იმის მიუხედავად, თუ როდის დამუხტეთ აკუმულატორი ბოლოს;
  - ბატარეისთვის მუშაობისუნარიანობის (სულ მცირე, ნაწილობრივ) დაბრუნება შესაძლებელია მოწყობილობის ოთახის ტემპერატურამდე გათბობით;
  - სიცივეში ენერგიის მოხმარება, გაყინვა-გათბობის მრავალჯერადი ციკლები და აკუმულატორის ღრმა გადაცივება — ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს მოწყობილობის ბატარეის მაქსიმალურ ტევადობას.

- მოწყობილობის ღრმა გადაცივებისას (-20 °C-ზე ქვემოთ) და მისი გათბობისას შიდა კომპონენტებზე შესაძლოა კონდენსატი წარმოიქმნას. კონდენსატის მუდმივი წარმოქმნა ხელს უწყობს სქემების მეტალის ელემენტების ჟანგვას, რამაც შესაძლოა მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვიოს.
- გაცივებისას მოწყობილობის შიდა ელემენტები, ეკრანი და კორპუსი იყინება, რის გამოც მასალები უფრო მყიფე და დაზიანებისადმი დაუცველი ხდება.

როგორ ავიცილოთ თავიდან გადაცივების შედეგები

- **შეინახეთ მოწყობილობა სითბოში.** ქუჩაში ყოფნისას ნუ ჩადებთ მოწყობილობას ჩანთებისა და ზურგჩანთების გარე ჯიბეებში. წელიწადის ცივ პერიოდში გამოიყენეთ თბილი შალითა. დაბალ ტემპერატურაზე დასაშვებია მოწყობილობის ხანმოკლე გამოყენება.
- **დამუხტეთ მოწყობილობა თბილ გარემოში.** დამუხტვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ლითიუმ-იონური და ლითიუმ-პოლიმერული ბატარეების დამუხტვა შესაძლებელია მხოლოდ +5 °C-დან +45 °C-მდე ტემპერატურაზე. სიცივიდან თბილ სათავსოში დაბრუნებისას აუცილებელია მოწყობილობას ოთახის ტემპერატურამდე გათბობის საშუალება მივცეთ, მხოლოდ ამის შემდეგაა უსაფრთხო დამტენი მოწყობილობის შეერთება.
- **მოერიდეთ ტემპერატურულ შოკს.** თბილ სათავსოში დაბრუნებისას მიეცით მოწყობილობას თანაბრად გათბობის დრო. ეს საშუალებას მოგცემთ თავიდან აიცილოთ მოწყობილობაში კონდენსატის წარმოქმნა და დაიცავს მას კოროზიისგან. სითბოს წყაროებთან ახლოს სწრაფმა გაცხელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკრანის ელემენტებისა და მოწყობილობის შიდა სქემების დაზიანება, აგრეთვე მოწყობილობის აკუმულატორის მწყობრიდან გამოსვლა.

მოწყობილობის ექსპლუატაცია

მომზადება გამოყენებისთვის

1. მოაცილეთ ყველა შესაფუთი მასალა.
2. მოათავსეთ ნოუთბუქი სწორ, მყარ ზედაპირზე.
3. შეურთეთ ყველა პერიფერიული მოწყობილობა, რომლის გამოყენებაც ნოუთბუქთან ერთად გსურთ (კლავიატურა, მაუსი და ა.შ.).
4. ტრანსპორტირებისას ნოუთბუქის დასაცავად ბატარეა დაბლოკილია და სისტემას კვებას არ აწვდის, სანამ პირველად არ შეერთდება კვების ადაპტერთან. პირველი ჩართვისას შეასრულეთ ბატარეის განბლოკვის პროცედურა — შეაერთეთ ნოუთბუქი ქსელთან კვების ადაპტერის საშუალებით.
5. დატოვეთ ადაპტერი ნოუთბუქთან შეერთებული ბატარეის სრულ დამუხტვამდე (დამუხტვის ინდიკატორი მწვანედ აინთება).
6. ერთი ხელით აწიეთ ნოუთბუქის სახურავი მოსახერხებელი მიმოხილვის კუთხემდე (არაუმეტეს 130°-ისა); მეორე ხელით (როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ნახაზზე) მხარი დაუჭირეთ ნოუთბუქის ძირს.
   ყურადღება! არასოდეს ასწიოთ ნოუთბუქი სახურავით.
7. მოწყობილობის ჩასართავად დააჭირეთ კვების ღილაკს.



მოწყობილობის სქემა (R15-R7ND502)





წინა მხარე



მარცხენა მხარე



მარჯვენა მხარე



უკანა მხარე



1. ფრონტალური კამერა.
2. ფრონტალური კამერის LED ინდიკატორი (ანათებს, როცა კამერა ჩართულია).
3. ჩაშენებული მიკროფონი.
4. დისპლეი.
5. ჩართვა/გამორთვის ღილაკი.
6. კლავიატურა.
7. თაჩპედი ღილაკებით.
8. სავენტილაციო ხვრელები.
9. დინამიკები.
10. LED ინდიკატორები.

მოწყობილობის სქემა (R17-R7ND503)



11. დამცავი ჩამკეტის კონექტორი.
12. USB 3.2 Gen 1 Type-A კონექტორი.
13. USB 2.0 Type-A კონექტორი.
14. მიკროფონის/ყურსასმენების კონექტორი.
15. USB 3.2 Gen 2 Type-A კონექტორი.
16. DisplayPort 2.1 კონექტორი USB 3.2 Gen 2 Type-C-ში.
17. RJ-45 LAN კონექტორი.
18. კვების ადაპტერის კონექტორი.
19. HDMI კონექტორი.
20. Mini DisplayPort 1.4 კონექტორი.

მოწყობილობის ინდიკატორები

ინდიკატორი	მდგომარეობა	აღწერა
	ანათებს ნარინჯისფრად	კვების ადაპტერი შეერთებულია
	ანათებს მწვანედ	ნოუთბუქი ჩართულია
	აციმციმდება მწვანედ	ნოუთბუქი ძილის რეჟიმშია
	ანათებს ნარინჯისფრად	ბატარეა იმუხტება
	ანათებს მწვანედ	ბატარეა სრულად დამუხტულია
	აციმციმდება ნარინჯისფრად	ბატარეის მუხტის დონე კრიტიკულად დაბალია
	ანათებს მწვანედ	მიმართვა მყარ დისკზე

კლავიშების კომბინაციები

კომბინაცია	აღწერა
Fn + ~`	დაკვრა/პაუზა (ხელმისაწვდომია ვიდეო და აუდიო აპლიკაციებისთვის)
Fn + F1	თაჩპედის ჩართვა/გამორთვა
Fn + F2	დისპლეის გამორთვა (ჩასართავად საჭიროა ნებისმიერი ღილაკის დაჭერა / თაჩპედზე შეხება)
Fn + F3	ხმის ჩართვა/გამორთვა
Fn + F4	მიკროფონის ჩართვა/გამორთვა
Fn + F5	ხმის შემცირება
Fn + F6	ხმის გაზრდა
Fn + F7	დისპლეის პარამეტრები
Fn + F8	დისპლეის სიკაშკაშის შემცირება
Fn + F9	დისპლეის სიკაშკაშის გაზრდა
Fn + F10	ფრონტალური კამერის ჩართვა/გამორთვა
Fn + F11	თვითმფრინავის რეჟიმის ჩართვა/გამორთვა
Fn + F12	ძილის რეჟიმის ჩართვა/გამორთვა
Num	Num Lock-ის ჩართვა/გამორთვა
Fn + Ins ScrLk	Scroll Lock-ის ჩართვა/გამორთვა
Caps	Caps Lock-ის ჩართვა/გამორთვა
Fn + Esc	Control Center-ის გაშვება
Fn + 1	ვენტილატორის სიჩქარის ავტომატური რეგულირება / სრული სიმძლავრე
Fn + 3	ენერგომოხმარების რეჟიმების გადართვა
Fn + ❮ (Backspace)	Flexikey-ის ჩართვა/გამორთვა
Fn + /	კლავიატურის განათების მართვის პროგრამის გაშვება
Fn + *	კლავიატურის განათების ჩართვა/გამორთვა
Fn + −	კლავიატურის განათების სიკაშკაშის შემცირება
Fn + +	კლავიატურის განათების სიკაშკაშის გაზრდა

ტექნიკური მახასიათებლები

სავაჭრო ნიშანი	ARDOR GAMING	
მოდელი	RAGE	
მოდელის გაფართოება	R15-R7ND502	R17-R7ND503
ადაპტერის კვების პარამეტრები	შესასვლელი: 100–240 ვ ~ 50 ჰც	
	გამოსასვლელი: 20 ვ ⎓ 9 ა	
ოპერაციული სისტემა	ოპერაციული სისტემის გარეშე	
რადიოსიხშირული მახასიათებლები (უსადენო კავშირის სტანდარტი; სამუშაო სიხშირეების დიაპაზონი; გადამცემის სიმძლავრე)	Wi-Fi: IEEE 802.11 a/b/g/n/ac/ax; 2400–2483,5 მჰც, 5150–5350 მჰც, 5650–5725 მჰც; 100 მვტ	
	Bluetooth: IEEE 802.15.1; 2400–2483,5 მჰც; 100 მვტ	
ეკრანის დიაგონალი	15,6″	17,3″
დისპლეის გარჩევადობა	1920 × 1080 (FHD)	
დისპლეის განახლების მაქსიმალური სიხშირე	144 ჰც	
დისპლეის სიკაშკაშე	250 კდ/მ²	
დისპლეის მატრიცის ტიპი	WVA	
ბატარეის ტიპი და ტევადობა	Li-Pol, 53,35 ვტ·სთ	
პროცესორი	AMD Ryzen 7 H 255	
პროცესორის ბირთვების რაოდენობა	8	
პროცესორის სიხშირე	3,8–4,9 გჰც	
გრაფიკული პროცესორი	Nvidia RTX 5050	
ვიდეომეხსიერების მოცულობა	8 გბ	
გრაფიკული პროცესორის სითბოგამოყოფა	115 ვტ	
ოპერატიული მეხსიერება	DDR5 5600 მჰც	
ოპერატიული მეხსიერების მოცულობა	16 გბ	
ოპერატიული მეხსიერების მოდულების სლოტების რაოდენობა	2	
SSD მეხსიერების მოცულობა	1024 გბ	
დინამიკების სიმძლავრე	2 × 2 ვტ	
ვებკამერის გარჩევადობა	1 მპ (720p)	
ელექტროშოკისგან დაცვის კლასი (ადაპტერი)	I	
ელექტროშოკისგან დაცვის კლასი (მოწყობილობა)	III	
კვების კაბელის მიმაგრების ტიპი	X	
ტენისა და მტვრისგან დაცვის კლასი	IPX0	
კონექტორები	• 3,5 მმ jack (CTIA) • კვების კონექტორი • HDMI • Mini DisplayPort (mDP) • RJ-45 • USB 2.0 Type-A • USB 3.2 Gen 1 Type-A • USB 3.2 Gen 2 Gen 1 Type-A • DisplayPort 2.1 USB 3.2 Gen 2 Type-C-ში	
გამოყენების სფერო	საყოფაცხოვრებო	
კომპლექტაცია	• მოწყობილობა • USB-მატარებელი დრაივერებით • კვების ადაპტერი • მომხმარებლის სახელმძღვანელო	

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა

პრობლემა	შესაძლო მიზეზი	გადაწყვეტა
მოწყობილობა არ ირთვება	კვების კაბელი სათანადოდ არ არის შეერთებული	დარწმუნდით, რომ კვების კაბელი სწორად არის შეერთებული
	ბატარეა დაცლილია	დატენეთ ბატარეა მოწყობილობის გაშვებამდე
ძალიან ბნელი დისპლეი	დისპლეის სიკაშკაშე დაყენებულია მინიმალურ მნიშვნელობაზე	გადადით მართვის პანელში და დააყენეთ დისპლეის სიკაშკაშე 50%-ზე მეტ მნიშვნელობაზე. ან ისარგებლეთ კლავიშების კომბინაციებით Fn + F8/F9 სიკაშკაშის დასარეგულირებლად
გარე მატარებელი არ იკითხება	მოწყობილობას აქვს სხვადასხვა USB კონექტორი	ძველი ტიპის კონექტორებმა შესაძლოა ვერ წაიკითხონ დიდი მოცულობისა და დაკავშირების უფრო ახალი ინტერფეისის მქონე მატარებლები. სცადეთ სხვა USB კონექტორი
Wi-Fi ან Bluetooth არ მუშაობს	ჩართულია თვითმფრინავის რეჟიმი	გამორთეთ თვითმფრინავის რეჟიმი კლავიშების კომბინაციის Fn + F11 დაჭერით
კამერა არ მუშაობს	კამერა გამორთულია	ჩართეთ კამერა კლავიშების კომბინაციის Fn + F10 დაჭერით

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობა არ საჭიროებს რაიმე მონტაჟს ან მუდმივ ფიქსაციას.
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, მწარმოებელსა და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურაზე 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას არაუმეტეს 80%. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავა, ტუტე ორთქლი).
- მოწყობილობის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას; დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლის და ა.შ. ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- მოწყობილობის მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად აკრძალულია. ამის ნაცვლად ის უნდა ჩაბარდეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიღების შესაბამის პუნქტს შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ფედერალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პროდუქტის სათანადოდ უტილიზაციით, თქვენ ხელს უწყობთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და თავიდან აცილებთ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანს, რაც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობისას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოში.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან უტილიზაცია გაუკეთეთ მოწყობილობას.

დამატებითი ინფორმაცია

Manufacturer: KAPOK Computer (KunShan) Co., Ltd.
No.200, The 2nd Road, Comprehensive Bonded Zone, Kunshan City, Jiangsu Province, China.

მწარმოებელი: კეიპოკ კომპიუტერ (კუნშანი) კო., ლტდ.
№200, მე-2 გზატკეცილი, კომპლექსური საბაჟო საწყობი, ქ. კუნშანი, ძიანსუს პროვ., ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში:
შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674 საქართველო,
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

ნაწარმი შეესაბამება TP TC (ЕАЭС) მოთხოვნებს.

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი იერსახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქონელი დამზადებულია (თვ.წწწწ): _____ V.1

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI:

გარანტიაზე აყვანის თარიღი:

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო ვადა აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე. საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა მომხმარებლის ბრალის გარეშე საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 12 თვე.
ექსპლუატაციის ვადა: 24 თვე.

საგარანტიო ვალდებულებები და უფასო სერვისული მომსახურება არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ აქსესუარებზე, რომლებიც საქონლის კომპლექტაციაში შედის, თუ მათი შეცვლა არ არის დაკავშირებული ნაწარმის დაშლასთან:

- კვების ელემენტები (ბატარეები) დისტანციური მართვის პულტისთვის.
- შემაერთებელი კაბელები, ანტენები და მათი გადამყვანები, ყურსასმენები, მიკროფონები, „HANDS-FREE“ მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მატარებლები, კომპლექტში მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა და დრაივერები (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ნაწარმის მყარ მაგნიტურ დისკებზე წინასწარ დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფა), გარე შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ქეისები, ჩანთები, ღვედები, სატარებელი თასმები, სამონტაჟო მოწყობილობები, ინსტრუმენტები, ნაწარმზე დართული დოკუმენტაცია.
- ხარჯვადი მასალები და ნაწილები, რომლებიც ბუნებრივ ცვეთას ექვემდებარება.

მწარმოებელი არ ცნობს საგარანტიო ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- საგარანტიო ვადის ამოწურვა.
- თუ ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია პირადი (საყოფაცხოვრებო, საოჯახო) საჭიროებებისთვის, გამოიყენებოდა სამეწარმეო საქმიანობისთვის, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის უშუალო დანიშნულებას.
- მწარმოებელი პასუხს არ აგებს ნაწარმის მფლობელისა და/ან მესამე პირების მიერ მიღებულ შესაძლო მატერიალურ, მორალურ და სხვა ზიანზე, რომელიც გამოწვეულია გამოყენებისას მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევით, ნაწარმის მონტაჟისა და მომსახურების რეკომენდაციების, მიერთების წესების (მოკლე ჩართვები, რომლებიც ასევე წარმოიშვა შეუსაბამო ქსელური ძაბვის ზემოქმედების შედეგად, როგორც თავად ნაწარმზე, ისე მასთან ერთად მომუშავე ნაწარმზე), ნაწარმის შენახვისა და ტრანსპორტირების წესების დაუცველობით.
- მექანიკური დაზიანების ყველა შემთხვევა: ჩამოტეხილობები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმის კვალი, ჩაღრმავებები, ჩაჭყლეტები და სხვ., რომლებიც მიღებულია ნაწარმის ექსპლუატაციის პროცესში.
- არის გარეშე პირის მიერ შეტანილი ცვლილებების, ასეთი სამუშაოების ჩასატარებლად არაუფლებამოსილი პირების მიერ არასანქცირებული შეკეთების კვალი. თუ დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის კონსტრუქციის ან სქემის შეცვლით, მწარმოებლის მიერ გაუთვალისწინებელი გარე მოწყობილობების მიერთებით, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისობის სერტიფიკატის არმქონე მოწყობილობის გამოყენებით.
- თუ ნაწარმის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენების, ხანძრების, წყალდიდობების, მიწისძვრების, საყოფაცხოვრებო ფაქტორებისა და მწარმოებლისგან დამოუკიდებელი სხვა სიტუაციების) ზემოქმედებით, ან მესამე პირების ქმედებებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა მწარმოებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის შიგნით უცხო საგნების, უცხო სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს, მაღალი ტენიანობის, მაღალი ტემპერატურების ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია ნაწარმის სრული ან ნაწილობრივი მწყობრიდან გამოსვლა.
- ნაწარმის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი) არ არსებობს ან არ შეესაბამება. თუ დაზიანებები (ნაკლოვანებები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) დაყენებით, შეცვლით ან წაშლით, რამაც გამოიწვია ნაწარმის პროგრამულ რესურსებზე წვდომის არარსებობა, მათი გადატვირთვის/აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებლის მიერ ამ სერვისის არმიწოდების გამო.
- თუ მუშაობის დეფექტები გამოწვეულია კვების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამობით, რადიოსიგნალის სიმძლავრით, მათ შორის რელიეფის თავისებურებებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, ნაწარმის ქსელის მოქმედების ზონის საზღვარზე ან მის გარეთ გამოყენებით.
- თუ დაზიანებები გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან უხარისხო (დაზიანებული) ხარჯვადი მასალების, აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების, კვების ელემენტების, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მატარებლების (მათ შორის CD, DVD დისკების, მეხსიერების ბარათების, SIM-ბარათების, კარტრიჯების) გამოყენებით.
- თუ ნაკლოვანებები გამოწვეულია შეუთავსებელი კონტენტის (მელოდიები, გრაფიკა, ვიდეო და სხვა ფაილები, Java აპლიკაციები და მათი მსგავსი პროგრამები) მიღებით, ინსტალაციითა და გამოყენებით.
- ამ ნაწარმთან ერთად მომუშავე სხვა მოწყობილობისთვის მიყენებულ ზიანზე.

გაიგეთ მეტი:
ARDOR-GAMING.COM
VK.COM/ARDOR_GAMING